სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:

გაგზავნით თფილისში და გარეშე ადგილებში:	გაუგზავნელათ:
ერთი წლისა — 4 მ.	— 3 მ. —
ნახევარი წლისა—3 —	— 2 მ. —
სამი თვისა —1 მ.	— 1 მ. —

მეხუთე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისს «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, გ. წერეთლის და ამს. (დუბლირის) სტამბაში, სერგეევის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში. თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ контору редакціи «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ» при типографіи Г. Церетели и ко. (Дубелмра-*

№ 18 მაბათი — V — 30 სექტემბერი, 1872 წ.

შინაარსი:

სამეურნეო ნაწილი: დოშინის სამეურნეო შკოლის ამბები.—საქმიო ნაწილი:—ცივების გაჭრაში ს. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო: სამდგომლობის მდგომარეობა.—სინგილოდგან: სამოსამარ თლო ნაწილი.

სამეურნეო ნაწილი

დოშინის სამეურნეო შკოლის ანბები იგნიხიდგან მოკიდებული ეკენისთვის გასვლამდინ, რომელიც მოუგიდა სასოფლო გაზეთის რედაქციას.

ყველას საწუხარი ამბავი ამ ქამათ არის გაზაფხულიდგან დაწყებული ეკენისთვემდის სულ გოლეიანი ამიდებია ამისთანა გოლეა მთელს საქართველ მოხუცებულებსაც არ ახსოვსთ- წარსულს ამბებში ჩვენ ვთქვით, რომ გაზაფხული ძალიან მშრალი იყო. მაისის გასულს თითო-ოროლა შხეფი, რომელიც დაეცა მიწას, იმდენი არა იყო რა, რომ ან მოსაელის სარგო ყოფილ იყო და ან სხვისი რისიმე ყოფილ იყო გამოსადეგი. ის კი არა თიბვასაც დაუშალა. მას შემდეგ ოთხი თვის განმაელობაში, ოცს ეკენისთვემდის წვიმები თითქმის სულ არ ყოფილა. ამ ქამათ ტფილისის გარემოს ძალიან გულსაკლაი შეხედულობა აქვს: ტფილისის მახლობლათ მდებარე საძოვრები სულ მოწმენდილია ხელისგულსავით. ტფილისის მოშორებით ბალახმა თუმცა ამოისწია, მაგრამ მაისშივე გახმა და აქამდის ისე გამხმარი ძევს; წყაროებიც მომეტებული ნაწილი დაშრა და ამისთვის ბოსტნებს წელს არ გაუხარია იმ ბოსტნებს გარდა, რომელნიც მტკვრის წყლით ირწყვებიან. უწინ რომ ჭაობიანი ალაგები იყვნენ, ახლა ისინი ღრმათ დამსკდარიყვნენ: ჩვენ ერთგან ნორიოს წყლის სათავესთან წმინდა ანტონის მონასტრის მახლობლათ ენახეთ მიწა ერთ არშინ სიღრმეზე დახეთქილი, ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ გოლვას კიდევ უფრო აძლიერებდენ ხშირათ ზაფხულის ქარები.

გლეხებს სჩვევიათ თავის ბზის ერთიანათ გაყიდვა და თიბასაც არ ინახვენ საზამთროთ; ამისთვის ძალიან შიშობენ ზამთრისათვის, რადგან იციან, რომ მინდვრები მოტიტვლებულია და საქონელი საძოვარს ცოტას იშოვნის. უნდა წარმოიდგინოთ, რარიგათ გააწვეს ის გაზაფხულამდის ნშიერი ყიენაში და ცუდს ამინდში. წლევანდელს ცუდს მოსაველობაში რაღა გადაარჩენთ იმათ. ამისგამო უფველათ ჩვენი სოფლის ხალხი ძალიან გაჭირებაში ჩავარდება. გლეხები წინათვე ჰგრძნობენ თავიანთ გაჭირებას და ახლავე ჰყიდიან ცხენებს და ცხვრებს საკვირველ იაფათ და თუ ახლა ასეა, მერე რაღა იქნება. არვიცი, რა აზრი მოსდით თავში გლეხებს, ბზეს რომ ჰყიდიან მაშინ, როცა საქონელი შინ ჰყავთ სარჩენი? რაღაც უდარდელობითი არიან ჩვენი გლეხები შეცულნი, თითქოს თავის ქონების და ოჯახობის თადარიგს ძალათ უშვებენ ხელიდგან. ამ უზრუნველობაში და უდარდელობაში ისინი არას ბზით გასამართლებელნი არ არიან. მაგალითად ჩვენ ენიშნავთ, რომ გოლეიანი წლები გახშირდა, რომ წვიმების შემდეგ წყლები ერთბაშათ მატულობენ, გადადიან ჭალებზე ყანებზე, მიაქვთ და ნამუშევარს აოხრებენ. როცა კი გოლვები დადგება, მაშინ კი წყლები ისე დაშრებიან, რომ ენახები, ბაღები და სახნავ სათესი ალაგები უწყლობისაგან ხმებიან. ამ უბედურების მიზეზი მაინც მოუსაზრებელათ ტყეების გაკაფვა არის. მთებზე თვითონ ტფილისის გარემოებს ძალიან კარგათ ეტყობა ეს უდარდელობით ტყის გაწყვეტის კვალი. უწინ ტფილისის გარემო მთებზე მშვენიერი ტყეები იყო და ახლა სულ უანგარიშოთ გაუწყვეტიათ. ამ ალაგებზე ტყის მყოფობას ამტკიცებს თვითონ ჯაგები და მოსწრებული კაცებიც ამას ამბობენ: ტფილისის მახლობი სოფლები: ლილო, ნორიო, ახალ სოფელი, მარტყოფი და სხვ. რომ დაიარო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშნავ აქა-იქ თითო-ოროლა პანტა სხლის ხეებსა, რომლის ქვეშაც გლეხები მუშაობის შემდეგ ისვენებენ. ეს ხეები ობლათ დარჩენილან აქ, მხოლოდ იმის მოწმად, რომ გამელელს გაახსენოს, რომ ამ მოტიტელებულს-ალაგებზე უწინ მშენიერი ტყეები იყო. ამ გვარი უწინდელი ტყის კეალები ბევრგან-არიან დარჩენილნი ჩვენს ქვეყანაში. სოფლები ამ შემთხვევაში იმას კი არ ფიქრობენ, რომ ყურადღებით შენახათ ეს ძვირფასი მომავალ დროებისათვის, არამედ მხოლოდ დღიურ სარგებლობისათვის ზრუნავდენ. ჩვენში ისეთი მუშაობის წესია, რომ მიწა მალე ცვდებოდა მინდერების უფრო მალე ეტყობათ გოლვისა და ქარის ცუდი გავლენა; ამისთვის მეოჯახეები თან-და-დან კაფავდენ ახალ-ახალ ახოებს, რომ სულ კარგი მოსავალი ჰქონოდათ; ამისგამო ბოლოს იმდენზე მივიდნენ, რომ ტყეები სულ გაწყვეს. ამსახით მთები და გორაკები უწინ რომ მშენიერი ტყეებით იყენენ მოცულნი ახლა სულ მოტიტელებულნი არიან, წყალი ვერ უჯდება მიწას; ის ერთბაშათ ჩარბის მდინარეებში და ახდენს მდინარისპირის ყანებს. მიწაში წყალი ცოტაა, წყაროები შრებიან, ასე რომ მეოჯახეს სარწყავათ წყალი ვეღარ უშოვნია. ჩვენი სოფლის ხალხი იმდენათ უზრუნველათ ეკიდებოდა ტყეს, რომ თუ საქონელს უჭირდა საკვების შოვნა, წავიდოდა და წაჰმაქცევდა უზარ-მაზარ ხეებს, რომ საქონელს იმის ფოთლებით და კლორტებით გაეტანა თავი. ახლაც ძალიან ძნელია მთავრობისათვის, რაც დარჩა, იმ ტყეების შენახვა უზრუნველი სოფლელი ხელისაგან, რომელიც თითქოს ძალიან ემტერება ტყეს და საცა ნახავს, მოუჭრელს არ მოარჩენს, მაშინ როდესაც უტყეოთ სოფლელს გაძლებაც აღარ შეუძლიან. გლეხები კი არა, მებატონეებიც ხელს არ აკლებენ და, თუ კი სასარგებლოთ დაინახეს, დიდის სიამოვნებით აძლევენ მოსაჭრელათ. ამ ნაირი შემთხვევები ძალიან ხშირათ მოხდებიან ამიერითგან დაწყებული, რადგან ტფილისი თან და თან იზდება და შეშა წლითი წლობამდე უფრო მომეტებულათ საჭიროა. ამას გარდა რკინის გზაც ძალიან ბევრს შეშას მოინდომებს. ამასთანავე საჭიროა, მთავრობამ მიაქციოს ყურადღება და გამოსცეს კანონები, რომ კერძო პირებს ნება არ ჰქონდესთ, ასე უწყალოთ თავიანთ ტყის მოჭრისა, ამიტომ რომ ტყის გაწყობით წყაროები თანდა თან შრებიან, მაშინ, როდესაც სოფლის მეურნეობა სულ წყალზეა დამოკიდებული. აგრეთვე სასიამოვნო იქნება, რომ თვითონ კერძო პირები შეუდგენ ტყის გაშენების თადა-რიგსა და ნებას არავის აძლევდენ იმის მოჭრაზე, განსაკუთრებით მაღლობ ალაგებზე, რომლის მოტიტელებით ძალიან ზარალი ეძლევა მეურნეობას, რადგან ამ მაღლობებზე წყალი არ დგება და ჭალებს აოხრებს. ამას გარდა მაღლობზე ადგილათ გაშენდება ახალი ტყე, ოღონდ კი საქონლისაგან იპატიეონ ახალი ამოსული ჯაგები. ამას თვითონ ბარონ ნიკოლაის მამული ბეთანიაში ამტკიცებს. იქ უწინ ჯაგების მეტი არა იყო რა, მაგრამ ახლა როცა საქონლისაგან ბეთანიის მამული შეიკავეს, პაწაწა ბუჩქები დიდ ხეებათ გადაიქცენ. ტყე უნდა გაიწმინდოს ამნაირათ: უნდა მოიჭრას ზოგიერთი ჯაგები და დაგრეხილი ხეები. რომელიც კარგი სწორი ხეებია, ისინი უნდა დარჩენ, და მალე აიყრიან ტანს. რაც შრომა ტყის გაწმენდაში დაეხარჯვის მებატონეს, ის იმ მოჭრილი ჯაგების და ხეების ფასით შეისყიდება. როცა ამისთანა შრომით ტყეები ისევ გაშენდებიან, მაშინ უეჭველია წვიმები ისევ მოამეტებს, წყაროები გამრავლდებიან, ახლა რომ უნაყოფიერო ალაგებია, ისინი ისევ განაყოფიერდებიან.

საქონლო ნაწილი

ციგების გამქრობი ხე. (Eucalyptus globulus).—ი. თარხნის შვილის რჩევა.

მადლობა ღმერთს ბოლოს ჩვენც გვეღირსა ისეთი კაცები, რომელნიც თავის ქვეყანას თავისი მეცნიერებით აძლევენ პირ-და-პირს სარგებლობას. უფ. ი. თარხნის შვილი არის ერთი ჩვენი ქვეყნის ახალ-გაზდათაგანი, რომელმაც კიდეც მოიპოვა სახელი სამკურნალო მეცნიერებაში და რომელიც იწყებს თავის ქვეყნის სამსახურს. იმას გამოუგზავნია რუსეთიდგან ერთი რჩევა კავკასიის სამკურნალო (საექიმო) საზოგადოებისათვის, რომელიც დაბეჭდილია ზემოხსენებულ საზოგადოების პროტოკოლში და მოკლეთ ეთარგმნით ქართულათ.

უფ. ი. თარხნის შვილი ამბობს, რომ კავკასიის სამკურნალო საზოგადოების წილათ შეხვდა იმისთანა ავათყოფობის განხილვა და რჩევა, რომელიც თვითონ კავკასიის ბუნებას გაუჩენია, მაგალითათ ციებათ. ეს ავათმყოფობა ძალიან გავრცელებულია მთელ კავკასიის ქედს აქეთ შავი და კასპიის ზღვის ნაპირებზე და აგრეთვე შიგნით ქვეყნებში საცა ჭაობიანი ალაგები იპოებაო.

ამ შემთხვევაში კავკასიისთვის მეტად გამოსადეგი უნდა იყოს ყოველნაირი შენიშვნა და მეცნიერული გამოკვლევა, რაც კი მოსპობს ჩვენს ქვეყანაში ციებასაო. თუმცა ქინა-ქინა ძალიან კარგი წამალია, მაგრამ ბევრს შემთხვევაში, როცა ციება ძალიან გამჯდარია ტანში, ვეღარას შველის და რომ კიდეც მოარჩინოს, მაინც ქინა-ქინა ხომ ვერ მოსპობს თვითონ ციების ხაშმსა, რომელიც ჭაობიან ალაგებზე მზადდება.

ყველაზე უკეთესი წამალი ციებისა ის იქნებოდა, რომ გვეპოვნა თვითონ ხაშმიან ჰაერის გამწმედელი წამალი, რისგანაც უნდა მოისპობოდეს ხაშმში სულ ეს ჩვენთვის სულ ერთია ჩვენ მხოლოდ ვიცით, რომ ის ჩნდება წყლიანს ადგილებში, სადაც მოდის ერთნაირი ბალახი, რომელიც თან იზდება და-თან ლპება და ამასთან ცხელი ჰაეაა. საცა კი დაუშვრიათ ეს ალაგები და ზედ ხალხი გაშენებულა, იქ ციებაც გამქრალა. მაგრამ ზოგიერთ ალაგებში ისე გაძლიერებულა ხაშმი რომ კაცს ფეხი ვერ მოუკიდნია იქ საცხოვრებლათ, რადგან მისელისათანავე უჩნდებათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციებრა და უწყალოდ ჰკლავს ახლად მოსულს მცხორებლებს. ზოგიერთი ისეთი ხაშმიანი ალაგებია კავკასიაში, რომ კაცი ვერას გზით ვერ სძლებს და წამალიც არ უდგება.

ამ ბოლოს დროს მეცნიერებმა მიაქციეს ყურადღება ერთს მცენარეს, სახელათ ევკალიპტუს (Eucaliptus), რომელსაც თურმე საკვირველი თვისება სჭირს.

ეს ხე იზდება ცხელ-ქვეყნებში ინდოეთში, ავსტრალიაში, და ბრაზილიაში, განსაკუთრებით ახალ გოლანდიაში ხარობს. იქ თურმე მთელი ტყეებია ამ ხისა. იმას ბევრი შეთი გამოსდის. ზოგიერთ სამხრეთ ევროპას ალაგებში კიდეც გაუშენებიათ ამისთანა ხეები. მეტი არ შეიძლება ეს ხე ისე მალე იზდება. შენიშნულია, რომ ყოველ-წელიწადს ორსაჟენ ნახევარს სიგძეს მატულობს. კორსიკაში ამ შვიდი წლის წინათ დამყნეს პატარა ნერგები და ახლა თითქმის ერთი საჟენი სისხო აქვს ამ ხის ტანს, მეორე თვისება ამ ხისა კიდევ უფრო საკვირველია. ის იკრებს ძალიან ბევრს წყალს, სწუწნის ფესვებით და ფოთლებით. ერთმა მეცნიერმა ერთ კარგ მოზდილს დოქში, რომელიც წყლითგააესო, ჩასდო პატარა ტოტი ამ ხისა და თორმეტს საათს შემდეგ დოქში წყალი აღარ იყო, სულ ერთიანათ შეესვა და ორცა აწონეს ეს ტოტი გამოჩნდა, რომ წონა ცოტათ მომატებოდა, დანარჩენი წყლისა სულ ორთქლათ გადაექცია და ჰაერში გაეფანტა. თუ ასე პატარა ტოტი ამ ხისა ამდენს წყალს ისვამს, უნდა წარმოიდგინონ უზარმაზარი ხე რაღასა იქს. და ახლა რომ მთელი ტყე გაშენონ ამ ხეებისა, მაშინ უნდა წარმოიდგინონ, რანაირათ გაშრობს ჭაობიანს ალაგებსა. ამას გარდა ამ ხეს გამოსდის ისეთი სუნნელი ზეთი, რომელიც აქრობს ხაშმს და თვითონ ჰაერსაც წმენდავს. ამასგარდა თვითონ ამ ხის ფოთლებიც რომ გამოხარშოს კაცმა და დახაშულ ავათმყოფს ასვას, ციებისაგან მოარჩენს. ახლა ამისთანა ხეები რომ გაშენონ ხაშმიანსა და ჭაობიანს ალაგებში, თვითონ მკითხველიც მიხვდები თუ რა სასარგებლო იქნება. ის გაშრობს ალაგს, გასწმენდავს ჰაერს და გააქრობს ხაშმსა. ეს ხე რომ გაშენდეს ერთის მხრით გააქრობს ჩვენს ქვეყანაში ციებას და მეორეს მხრით თვითონ უზარმაზარი ხეები საშენებელათაც ძალიან კარგათ გამოდგება. საზღვარს გარეთ ევროპაში ახლა დაიწყეს ამ ხის შენება და ის ალაგები, სადაც ეს ხე ვარგობს, მდებარეობით და ჰაეთ ჩვენს კავკასიიდგან არ განირჩევა. მაშასადამე უეჭველათ ჩვენს ქვეყანაშიც ივარგებს და ახლა უფ. თარხნის შვილის რჩევით ამ ხის გაშენებას რომ კავკასიაში შეუდგებოდენ, მეტი არ შეიძლება, ისე სასარგებლო იქნება ქვეყნისათვის...

საქართველო

ხალოფლო გაზეთის კორრესპონდენტია.

მდგმოიარობა, ანუ შეწუხებული ცხოვრება ხოფლის სამღუდელოთა.

1872 წლის, აპრილის თვის სასოფლო გაზეთში წაეკითხე ერთი სტატია, რომელიცა შეეხებოდა სამღვდელოთა. აი, იქმნება სამოცი წლის კაცი და მე ეს არ მინახავს და არც გამიგონია, რომ რომელსამე მღუდელს საქართველოს ეპარხიის ორი ან სამი თუმანი ჯვარი საწერი გამოერთმეინოს ვისთვისმე ძალით, ეს კი მინახავს, რომ კარგს თავადს, თვისის სინდისით ორი და სამი თუმანი მიერთმეინოს ჯვარის საწერი. მართლა, ეს კი დამავიწყდა, რომ ერთს რომელსამე მღუდელს ერთის სოფლის მწერალს გამოერთმია ორი თუმანი ჯვარის საწერი, მაგრამ იმ ღუდელს ერჩიენა, რომ ერთი კაპეიკიც არ მიეღო, მისთვის, რომ ესრეთის ანგარებისათვის პრიზოდი ჩამოართვეს. ეს საქმე მრთელმა საქართველომ შეიტყო და აბა რომელიღა მღუდელი გაჭბედავს მომატებულის თხოვნას და ანუ წესის დაჭერას, იმ მღუდელს ძრიელ კარგი მიზეზი ჰქონდა და იქნება კიდეც მისცა, მაგრამ გამგონი ვინღა იყო? თუ ჯეროვანი პასუხი ვერ მისცა, ეს მოუვიდოდა შიშისაგან, რომ მომეტებულს სასჯელს არ მიმცენო, თვეზს უთქომს სათქმელები ბერი მაქს, მაგრამ პირი წყლით მაქვს სავსეო. უთუოთ ის მღუდელიც იმას ემზგავსებოდა, არ იქნება, რო სათქმელები არა ჰქონოდა რა, მაგრამ პირი წყლით ჰქონია სავსე ე. ი. ჭშინებია. ამ შემთხვევას უნდა გაეღვიძებინა სასულიერო მთავრობა და მიეხედ მოეხედნა სხვა სამღუდელოთათვისაც დაეკითხნა თქვენც ესრე ხომ არ აწუხებთ ხალხს, ან თქვენ ხომ შეწუხება არა გაქვსთ რაო? მაგრამ დასაჯა რა მღუდელი, დაიძინა ისევ ღრმითა ძილითა; ვინ არ იცის რომ სიღარიბეს ყველაფერი შეუძლიან, ღარიბი კაცი თითქმის თავის სიკვდილსა განიზრახავს და აბა მოიფიქრე თუ კი სიკვდილს განიზრახავს, ფულის აღებას დაერიდება? ყოველად მოწყალე კელმწიფე იმპერატორმა ყველა სამსახულის კაცს ჯამაგირი მოუმატა, გააუკეთესა სამსახურს კაცის ცხოერება განა მისთვის რომ ხელმა და თვალმა აღარაზედ წაიტყუოს, აბა მიუტანე მიროვისუდიას ქრთამი, გაბედეთ ეიტყვი, რომ თავში დამარტყამს, მისთვის რომ საკმაო ჯამაგირი აქვს და თუ გაბედა და აიღო ქრთამი, მაშინ ღირსი იქნება სასჯელისა. რა ქნას საწყალმა სოფლის მღუდელმა, რომ არ აიღოს ფული, თუ კი საიდანმე შეეძლება აღება, ძალით თუ ნებით, როდესაც არა აქვს ჯამაგირს შეჭყურებს გლეხ კაცებს, რომელთაც თავის თავიც გასჭირებიათ საცხოვრებელათ, სიტყვით რომ ესთქვათ მღუდელს კარგი ჯამაგირი აქვს, კომლზედ აქვს დაწესებული კოდი ბური, ქერი, ფული, და სხვა. თავის დღეში ვერ იტყვის მღუდელი, რომ ცოტა ჯამაგირი მაქსო, მაგრამ, მკითხველო! მოიფიქრე აძლევენ თუ არა? უნდა გაბედვით ესთქვა, რომ სრულებით არა, ზოგი ნაკლებათ არის და ამის მიზეზით ვერ აძლევს მღუდელსა და ვერცა სთხოვს. იცის რომ ტყუილათ პირს შეირცხვენს და ვერას მიიღებს, იქნება უკადრისათაც გახადონ, ამ ღარიბის გვერდზედ დგას იმაზედ შეძლებული კაცი, რომელსაც შეუძლიან მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემა, მაგრამ იმნაც იფიქრა: თუ კი ეს არ აძლევს და არცა სთხოვს, არც მე მივცემ, მღუდელი ხომ წესს ვერას დამიქერს და ტყუილათ რისთვის გადაეყარო, მაგრამ მღუდელმა იცის იმისი შეძლება და სთხოვა განწესებული დებულება, ამ კაცმა დაუწყო მღუდელს ტკბილათ ლაპარაკი: რავქნა, მამაო! არა მაქვს და რა მოგცე? მღუდელმა თუ თავი დაანება ხომ შერჩება, და თუ მომატებულათ შეაწუხა, მაშინ დაუდებსვადას: კვირას ან ორშაბათს მიირთვეო, მღუდელს პატარა გულში წყალი ჩაუდგა და ცოლ-შვილში ანბავი მიიტანა: ანდრომ აღმითქო და ორშაბათს პურს მომცემსო; მოვიდა ორშაბათი, მღუდელმა გაგზავნა თავისი მნათე და გაატანა თან ნიტრა და საცალო და რას ჰხედავს გაგზავნილი კაცი? ნაკმზს. არა შენიჭირიმე. ანდრო, ეუბნება, მე ამას ვერ წავიღებ, მღუდელი გამიჯავრდება, ანდრომ დაუკიცლა: შეოხერო! გაძლევ და არ იჭერ? წადი დაიკარგე, აი, პური თუ გინდა, წაიღე თუ არა და თავში ქვა იხალე. მნათე გაბრუნდა და ცარიელ საცალო მიუტანა მღუდელს, მღუდელი ჰკითხამს ბიჭო! რა გითხრა? რათ მოხვალ ცარიელი? მნათე ჯერ ჩუმათ დგას და მერე ეტყვის: ჰე, შედალოცვილო, მაშ რა წამომეღო, პურის მაგიერათ ნაგავი მაძლიეთ და წამომეღო აბა ახლა, მკითხველო, დაარგე მღუდელი, რა ქნას? თუ წავიდეს თითონ გალანძღამს, თუ არა და თავი უნდა დაანებოს, გალანძღვას ისევ თავის დანებება ირჩიეა, გავიდა რამდენიმე დღე, მღვდელი მიდის ეკკლესიაში. მაგრამ მწარეთ დაფიქრებული, სწყეველის თავის ბედს და იღბალს: არა აქეს ღონის ძიება ცხოვრების, ამ დროს გზაზედ შეხვედა ჩვენი ანდრო და დაუძახა შვილო ანდრო! პატარას ხანს მომითმინეო, ჯერ ან არ მოუთმენს და ეტყვის მეჩქარება საქმეზედ მივდივარო და, თუ მოუთმინა თითონვე დასწრობს: შენმა მნათემ პური რატომ არ წამოიღოო? მღვდელი მიუგებს შვილო! პური არ გიძლევია, ნაგავი გეძლევა და რათ წამოიღებდა; ანდრომ მუგო, რაქნა მამაო ჩემი მოსაღალი სულ ისეთი იყო, განა არ იცის მღუდელმა რომ ატყუებს, მაგრამ რა ჰქნას? ეხვეწება, მამა შვილობას საღამოზედ გამოგზავნი და გამომიგზავნე. იმანაც აღუთქვა ბატონი ბრძანდებიო და მაინცა და მაინც ისევ ის პური გამოგზავნა, მღუდელმა ნახა, მაგრამ რა ჰქნას? ვის მიატანოს? სად გადაეარდეს? ვის შეჩივლოს? არის მწარეთ დაფიქრებული და ვერა გაუგია რა თვის ბედისა, მეტის მეტი ჯავრისაგან წირვაც ავიწყდება და ლოცვაც, ეს შემთხვევა ანდრომ უანბოდ ხეცთა თავის მეზობლებთა: იმ დღეს არ წაიღო მღუდელმა პური და ეხლა კარგათ ხვეწნაც დამიწყოეო, მისმა მამგონმა ისწავლა და ისინიც ისრე მოიქცნენ, მღუდელს დაეკარგა წლის ჯამაგირი, ჩავარდა სიღარიბეში და არსაით უჩანს ღონის ძიება ცხოვრებისა. მკითხველო! მიიხედ-მოიხედე, გაშინჯე ყველა სამსახურის კაცი, იწყე მოსამსახურებიდგან, ვიდრე პირველის პირამდის რომელი იკლებს თავის ჯამაგირს? მაგალითებრ. კანცელარიის მოსამსახურეს აქვს თვეში, ეს თქვათ, ხუთი მანეთი, ან ერთი თუმანი, აბა იმას დააკლე ხუთი კაპეიკი, რასა იქს? მგონი ქვეყანა შეყაროს, ჯამაგირს არ მაძლევენო. მწერალს დააკლე ერთი აბაზი, ენახოთ რასა იქს. წიგნში ხელს არ მოაწერს, ჯერ სრულებით მომეცით და მერე მოვაწერო, სალდათს დააკლე მცირედი პრავიანტი, ლანძღვით აიკლებს იქაურობას, და ეგონებ თვით ხელმწიფემდის მიახწევს ამ მცირეს გულისთვის, მაგრამ მღუდელნი ესრეთ ქცევის მოკლებულნი არიან, თვეზის მზგავსათ პირი წყლით აქვს სავსე და სიტყვა ვერ უთქვამთ, იციან დაუდევნელობა თავიანთ მთავრობისა, რომ არაფერს კმაყოფილებას, არ მიიღეღებენ, დალოცვილს მთავრობას, ამაზედ რაღა მოხსენება უნდა დღეში და თვეში მგონი ათასი არზა შესდის მღუდელთაგან, რომ ღონის ძიება არა მაქსო ჩემის ცოლ-შვილის გაზრდისაო და შვილები უბედურათ მრჩებიანო და მთავრობას თითქმის სძინამს და სიზმარში უნახამს ეს მოხსენება, ყურს არ უგდებს, არას დასდევს, უყურთხებია და მიუნებებია თავი, ცხოვრობს თუ არა იმას აღარ კითხულობს; სამღუდელოდ ცხორება საუთოო არის წესის შესრულებისათვის დადებული არა აქვსთ რა მაგალითებრ: მღუდელმა მშობიარეს განთლა სახლი და ვერა მიიღორა, წაუკითხა მშობარეს ორმოცის ლოცვი და ვერა მიიღორა, მონათლა ყმაწვილი და ნათლიამ ბოდიში მოიხადა, მამაო! უკაცრაოთ არა მაქვსრაო და აბა მღუდელმა რა უყოს, ხომ ვერ გალანძღავს და მაღალ სიტვას ვერ ეტყვის, თუ უთხრა რამე, მაშინ ეკი ქვასა და წყალსა. დამარხა მიცვალებული და მიიღო ორი ან სამი აბაზი, დაზდეს ვალი შვიდისა და ხუთმეტის ე. ი. ხუთის მანეთისა, მღუდელმა ეს ვალ-დებულება შეასრულა, სთხოვს და ვერა მიიღორა, ცოტას ხანს დამაცალეო, სანამ გლეხი ამოვენის და მისცემს, მღუდელი მოიღალა, მის თხოვნით იმის ცოლ-შვილი მწუხარებაში არიან, სიტიტელისაგან ვერსად გასულან, ნეტავი ისიც შემდგომ ბევრის დროების გასელისა სრულათ ჩამბაროს, აიღებს ერთ მკვდარ თოზლსა, და რომ არა ღირდეს ოთხ აბაზათ სამ მანეთათ აღებინებენ, თუ არ აიღებს და ისიც დაეკარგება.

ზემოხსენებულისთვის ამ სასოფლო გაზეთში რომ მოხსენებულა ვითომც მონათვლაში მღუდლები იღებდნენ მომეტებულს ფასს ეს ცხადი სიცრუეა, თვით მთარგმნელიც დაყოველი კეთილ გონიერი კაცი იფიქრებს, რომ ეს ესრე არ იქნება, მისთვის რომ მღუდელმა რომ მაგარზედ დაუდგეს და სთხოვოს, ანნათლის და ანუ ყმაწვილის პატრონს, გინდ თუ არა აადენა მომეცი და ვერ მისცემ ხომ უნდა დარჩეს მოუნათლავი და იმ მონანათლს ყმაწვილს რომ გარდახდეს რამე, მაშინ მღუდელი, ხომ სულითაც დაიკარგა ლ ხორციოთაც. პირველათ მისთვის რომ მოუნათლავის სიკვდილი არის გარდასახადი მღუდლისა სულიერად. ხოლო მეორედ დასჯის მთავრობა, მეტრიკის მოწმობაზედ რომ არ მოხსენებული ბევრს იღებენო, ესეც დასაჯერი არ არის. მაგრამ როდესაც მღუდელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტრიკის მოწმობას აძლევს ქალსა, ჯვარის წერის დაუბრკოლებლობისას, მაშინ მღუდელი იღებს ქალისაგან ჯვარის წერის ფასს, რადგანაც რომ მისი ჯვარის წერა ეკუთნოდა მას, მაგრამ სამეფომ არ ისურვა იქ ჯვარის წერა დ' მისთვის წაიყვანა თავის საკოლო თავის სოფელში. როდესაც აძლევს ესრეთს მოწმობას ვაჟსა, მაშინ მანეთის მეტს არ მოსთხოვს, რადგანაც მან ჯვარის საწერი სხვაგან უნდა მისცეს და თუ თავისის კეთილის სინდისით და ნებით მისცემს რასმე მომეტებულს, უკან კი არ დაუბრუნებს, გაზეთში რომ არის მოხსენებული ვითომც რომ მეტრიკის მოწმობაში ძრიელ მომეტებულს იღებენ, ეს მართალი არ არის და იქნება ესრეთი ჩვეულება იყოს იქა სადაც დაუწერიათ, ხოლო ჩვენს ეპარხიაში არ არის ესრეთ. ჩვენს სოფელში და ჩემს მახლობლათ არიან რაოდენიმე სამღდელონი და ამ საგნებზედ არა ფერი გამიგონია: ეს კი ხშირად მესმის, და თვალიდაც ვხედავ, რომ გლეხნი ემდურებიან სამღუდელოთა, და სამღუდელონი უჩივიან თავიანთ მრევლთა; პირველნი ამბობენ: მღუდელნი ძრიელ გვაწუხებენო, ხოლო მეორენი—არას გვაძლევენო. მკითხველო! რომელი სტყუის და რომელი მართალს ამბობს? ორივე ნ ნ ა ხ ე მართალს ლაპარაკობენ: მაგალითებრ: მრევლი არ აძლევს თავის დროზედ დასრულებითდადებულს განწესებას, ამაზედ ეჭვში არავინ არ იქნება და რაც უნდა იყოს რომ ეს ნამდვილათ ესრე არის. მოუნდა ამ მრევლს სახლის განათლა, რას პირით უნდა მივიდეს მღუდელთან და როგორ უნდა სთხოვს ამ წესის შესრულება, როდესაც მღუდლისათვის აგერ რამდენიმე ხანი გასულა და არა მიუცირა, მაგრამ რაქნას ქრისტიანი არის, უწესოთ ვერ დარჩება, უნდა აღასრულებინოს და ამისთვის მივიდა მღუდელთან. მღუდელმა შორიდგანვე დაინახა, დასთქვა: ჩემს ჯამაგირს ეხლა თუ მოვატანინებ, თორემ მეორე ეს აღარას მამცემს. მივიდა მრევლი და სთხოვა მღუდელს, მამაო! ცოლი ლოგინზედ დამიწვა, ე ი ქ მყავს და სახლი გამანათლე. მღუდელი უარს ეუბნება, ვერა შვილო, ვერ გაგინათლამ, აბა იფიქრე რამოგიცია და რას პირით მთხოვ წესის შესრულებას? ეს მღუდელმა ძრიელ კარგათ იცის და ნამდვილათ ეყურება თავის თანამდებობა, მაგრამ რა ქნას, უნდა მოსთხოვოს თავისი ჯამაგირი, თუმცა დიდის მუდარებით ეხვეწება, მაგრამ მღუდელი უარზედ დგას და ეუბნება: შვილო! შენი მოჯამაგირე ვარ და ჯამაგიოს კი არ მაძლევ, და რათ გემსახურო, შენ ისრე შვრები როგორც ნათქომია: ბატონს ყმა უნდა უსმელ-უჭმელი და ტანთ ჩაუცმელო. რაქნას გლეხმა უნდა წავიდეს და იშოვნოს სადმე და მიუტანოს თავისის ზურგით მღუდელს, თუ არ შეასრულებინებს წესს, მაშინ ქრისტიანობა უნდა დაიკარგოს და ვისი ბრალი იქნება? არც მღუდლისა და არც მრევლისა; ამიტომ რომ მრევლს არა აქვს რომ მისცეს და მღუდელს არა აქვს ღონისძიება ცხოვრებისა, მაშ ვისი ბრალი იქნება რომ მღუდელმა წესი არ შეუსრულოს და მრევლმა თავი დაანებოს.? რასაკვირველია..... რა წარმოსდგა აქედგან? მტერობა და სამდურავი შორის მოძღვრის და მოწაფისა, ამას დიდის ხმით დავიყვირებ, რომ ვერ ნ ა ხ ა ვ ისეთს სოფელს რომ მღუდელს მრევლი არ ემდურებოდეს და მრევლს მღუდელი და თუ ნახავ ძრიელ იშვიათია ნუ თუ ესრეთი სამდურავი და სიძულილი მრევლისა და მღუდლისა უნდა დაშთეს უყურადღებოდ? ეს საქმე უთუოდ უნდა მიეცეს საზოგადო განსჯას და იპოვონ ისრეთი ღონისძიება, რომ სამდურავის მაგიერ აღორძინდეს სიყვარული.

თაგვადი დავით ვაქაძე

(შემდეგი იქნება.)

საინგილოდგან. 11 სექტემბერი

1867 წელს «დროების» 24 ნომერში სხეათა შორის მე ესწერდი: «ზაფხული დადგება თუ არა, მაშინვე ასობით და ორასობით დაიწყებენ ხოლმე ქიზიყელები საინგილოში სიარულს. ესენი, რასაკვირველია, ყველანი თავის სისაწყლეს გამოჰქცევიან და ეძებენ აქ სამუშაოს; მრავალი იმთგანი სამკალს რომ გაათავებენ, ზოგნი მოჯამაგირეთ უდგებიან ინგილოებს და ზამთარ-ზაფხულ იმათთან რჩებიან, ზოგნი ცუდ უბრალოთ დაეთრევიან აქა-იქ, ზოგნი კიდეე საყდრის ყარაულებათ დგებიან.» წლეულსაც, უმოსავლობის გამო, ურიცხვი ქიზიყელები გადმოვარდნენ აქ, საინგილოში. ამდენ ხანს გარემო კაცები მოდიოდნენ აქ, მუშაობდნენ, იგებდნენ და მიჰქონდათ სულადი თავიანთ ცოლ-შვილის გამოსაკვებათ; მაგრამ წლეულდელმა უმოსავლობამ და ამასთანავე საშინელმა სეტყვამ თითქმის მთელი ქიზიყი სრულიად დაავიტოხა. კაცები არამც თუ თვითონ მოდიან, არამედ ცოლშვილიც მოჰყავთ თან, რომ როგორმე წლეულს ისინი იოლათ წავიდნენ. ამ ჟამად ისე დაწიოკებულნი არიან ქიზიყის გლეხები, რომ კაცი განცვიფრებაში მოდის, იმათ რომ ხედავს ოცს და ოცდა-ათს ერთად მოარულებს აქ სოფლებში. პატარა ბიჭები მოხუცებულები და დედაკაცები დადიან სოფლებში; ისე მრავალნი დაიარებიან, რომ საინგილოს ადგილობრივი მცხოვრებლები გეგონებათ და არა მოსულები. ამათ თან დაჰყავთ ჯორები და თხოულობენ. საცოდავნი არიან საწყლები! ისეთი ხვეწნით და მწუხარებით თხოულობენ, რომ კაცს შეგეცოდება. ამ ორი დღის წინათ ჩემს სახლში მოვიდა და მომადგა ერთი მოხუცი კაცი ორის დედაკაცით. მოახლოვდა ჩემთან და რაღაც ეკვეთ მკითხა:

— მღვდელი ბძანდებით?

— დიაღ, ეუპასუხე მე.

— მაშ პურს არ გვაპმეე? მკითხა იმან კვლავ. მე გავიცინე, აედეგი და ეუბრძანე პურის მიცემა. ისინი დასხდნენ წაბლის ხის ქვეშ, და ჭამას შეექცეოდნენ; მეც მოუჯექი იმათ და დაუწყე ლაპარაკი. ამ დროს მოხუცმა სთქვა: «თქვენმა მადლმა, მღვდელო, მქონდა კი ვენახი და ამ ორი წლის წინათ კარგი შეძლება, მაგრამ ამ უმოსავლობამ და ახლანდელმა ზოგიერთმა წყობილობამ ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგეიხადა საქმე, რომ ახლა შიმშილით ეთხოცებით ჩვენს ქვეყანაში და ამისთვის აღარა ვსდიე ჩემს ოჯახიშვილობას და აი ახლა Ioლითა და რძლით დაედგარ სათხოვნელათ.» ამ სიტყვების შემდეგ იმას ცრემლნ გადმოუვარდა თვალიდგან ლოყაზე.

მეორე დღეს კიდევ შემომივარდა ერთი ახალგაზდა ქიზიყელი კაცი და მთხოვა: «მღვდელო! შიმშილითა ვკვდები, ერთი პური მაჭამე!»

— გამომცხვარი არა გვაქვს, ეუპასუხე მე. — — ახა ღმერთო! მაშ რა ვსჭამო, საით წავიდე? დღეს ვისაც მივადექი, ყველამ ის მითხრეს, რომ გამომცხვარი არა გვაქვსო. ეხლა შენც მაგას მეუბნები, მაშ ვის მივადგე, თუ არა მღვდელს?» მე მიუთითე იმას თონეზე, რომელშიაც ის იყო ცეცხლი ჩაენთოთ და ვთხოვე, რომ მოეცადნა. იმან გამიგონა. ცოტა ხანს შემდეგ იმას მიუტანეს პურები და რამდენიმე კიტრი. სჭამა და წავიდა.

ამნაირათ თითქმის მთელი ქიზიყის ხალხი საინგილოში და კახეთში გავიდა სამუშაოთ. ყანები მთლათ ქიზიყელებმა მოამკეს სულადზე, დაფქვეს და მერე თავიანთ ურმებით გაიტანეს. და ვისაც მუშაობა არ შეეძლო, იმან კიდე იყიდა სულადი, დაფქვა და გაიტანა საზამთროთ. ვინც ვერ იმუშავა და არც ფული ჰქონდა სულადის სასყიდელი, იმას წამოუსხამს თავისი ცოლ-შვილი საინგილოში და აქ ხიზნათ ცხოვრობს. უნდა ნახოთ, რა საშინელს სიღარიბეში იმყოფებიან ესენი: მთელს საინგილოს იქნება ამ ჟამათ ხუთასი ხიზნად გადმოვარდნილი ღარიბი ქიზიყელი მეკომური. ყველა ესენი ძონძებში გახვეულნი დადიან. ინგილოები რომ ხედავენ იმათ სიღარიბეს, ებრალებათ და აყენებენ თავიანთ სახლებში ცალკე; ეს დამშეული ხალხი, მხილველი ეზოებში და მამულში მსხმოიარე ვაშლებისა, თხილისა, ვენახში ყურძნისა და სხ., ესეე მამულს და ზარალს აძლევს ინგილოს: ამისთვის ახლა იმათ მრავალნი თავიდგან იშორებენ, ვიდრე მოსავალს აიღებენ. რიცხვი ხიზნებისა დროს განმავლობაში უფრო და უფრო მრავლდება.

რუსეთში და სხვა უცხო სახელმწიფოებში ამ გვარ შემთხვევებში მაშინვე დაუყოვნებლივ აცხადებენ გაზეთებში და მთავრობა ოფიციალური გზით, რომ ფულის მოკრეფით შემწეობა მივცეთ გაღარიბებულს და უმოსაველო ხალხსო; ფულებს აგროვებენ საზოგადოებაში მთავრობისგან გამოგზავნილ ქაღალდის დატარებით და ურიგებენ დამშეულ ხალხსოა. უეჭველია, ამ გვარი საშუალება ბევრს არ დაეხმარება, მაგრამ ცოტას რომ დაეხმაროს, ისიც კარგია. ჩვენში ფულისა და სხვა რისამე მოკრეფას თუ სხვა არა თავეობს, ჩვენმა გაზეთებმა მაინც არის უნდა ითავონ, რომ ხალხი დაიხსნას ამოწყვეტისაგან. ხალხმა თვითონვე გამოაცხადა სურვილი ამ გზით მისთვის შემწეობის მიცემისა, მაგრამ, მისდა საუბედუროთ, არავინ ყური არ ათხოვა.

დაყოვნება არ გვიჯობს: ქიზიყის ხალხი იქსაქსება. ის შიმშილმა შეაწუხა. ბევრი გაექცა ამის გამო თვის საყვარელ სამშობლოს. ცრემლი უჩუხჩუხებს თვალებში ქიზიყის ნორჩ თაობას... ამ გვარი უბედურება მხოლოდ საზოგადო შემწეობით მოისპობა. მივცეთ ერთმანერთს ხელი და წამოვაყენოთ ჩვენი ძმები ქიზიყელები ფეხზე. ის სიღარიბემ და სიღნაღის ვაჭრებმა დასცეს. ყველა საქართველოს შვილებმა კომლზე თითო მანეთი რომ შეეწიროთ, არა დაიკლდება რა ჩვენ ჯიბეს. საზოგადო გაკეთებული საქმე ყოველთვის ღონიერია. თავისი შენახვა თუ მხოლოდ თვითონვე ქიზიყს მივანდეთ, უეჭველია, დაიღუპება და ხალხი სულ მალე მოითესება მთელ საქართველოში. მე ჩემის ხმრით შემიწირავს ჩემი ოცთუმან ჯამაგირიდამ ხუთი მანეთი. შესდგეს კამისია და მიიღოს ის ფული ჩემგან. დაიწყეთ ხელის მოწერა მრავალნი აღმოჩნდებიან ხალხის მეგობარნი და გულის შემატკივარნი ფულის შემწირველნი.

ინგილო-ჯანაშვილი.

საქართველოს ნაწილები

ნაწილი მეორე

სისხლის სამართალი, რომელიც ეკუთვნის უმაღლესს სამსაჯულოებს: ოლქის სასამართლოს (ოკრუჟნოი სუდს) პალატას და სხვა.

1) 3) შეცთომილება, ანუ დანაშაულობა არის ორ გვარი: წინათ განზრახული და არა წინათ განზრახული.

2) (5) რადგანაც დანაშაულობა მოსდებს განუზრახავთ, უნებოთ და არც დამნაშავეს მხრით �oდილ არაკეთილი ბოროტი სურვილი, მაშინ ეს შეცდომა არ ჩაითვლება დანაშაულობათ.

3) (12) დამნაშავენი განიყოფიან რამოდენიმე სარახსთ:

1) უპირველესი დამნაშავენი არიან ისინი, ვინც პირველთ დაიწყებს დანაშაულობას და კიდეც სხვებიც სედმძღვანელთ იყენენ.

2. თანამზიარენი არიან ისინი, რომელნიც ეხმარებოდნენ უპირველეს დამნაშავეთ, რომელთაც მისცეს მათ ხაშაღება და ცდილობდნენ მოესპოთ ყოველი დაბრკოლება.

4. (13) დამწყებნი არიან ისინი, ვინც პირველ იფიქრებს ბოროტ-საქმეს და სხვებიც დაითანხმებს ამაზე შეგონებით და პირველთ ისინი მიგდნენ ბოროტი საქმის ასასრულებლად.

5. (14) დამფარველნი არიან ისინი, ვინც თითონ არ ერევნენ დანაშაულობაში, მაგრამ იცოდნენ დანაშაულობა და დაჭვარეს, ან დამალეს თითონ დამნაშავენი, ანუ განძარცვეთ მოსპეს ყოველი დანაშაულობის კვალი, ან დამალეს, ან სხვას გადასცეს, ან გაიყიდეს ის ნივთები, რომელიც დანაშაულობის დროს მოპარული იყო.

6. (17) სისხლის სამართლის სასჯელნი არიან სხვა და სხვა გვარნი:

1. ჩამორთმევა ყოველის ღირსებისა და სიკვდილი.

2. ჩამორთმევა ყოველის ღირსების და გაგზავნა კატორღაში სამუშაოთ.

3. ჩამორთმევა ყოველის ღირსების და გაგზავნა საბირში დასასახლებლად.

4. ჩამორთმევა ყოველის ღირსების და გაგზავნა კავკაზიის აქეთ მხარეში დასასახლებლათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. (18) სიკვდილის გვარს კანუმწესებს სასა-მართლო. სიკვდილით სასჯელი იქნება ან ჩამოდრჩობა.

8. (19) კატორღაში მუშობა ორის სხვა და სხვა გვარი და კიდეც სხვა სიორი აქვს.

1. მუშობა სამალნოში საუკუნოდ.

2. მუშობა სამალნოში თუთხმეტიდამ ოც წლამდის.

3. მუშობა სამალნოში თოთხმეტიდამ თუ-თხმეტ წლამდის.

4. მუშობა ციხეებში ათიდან თორმეტ წლამ-დის.

5. მუშობა ციხეებში რვიდამ ათ წლამდის.

6. მუშობა ზაოდებში ექვსიდან რვა წლამდის.

7. მუშობა ზაოდებში ოთხიდან ექვს წლამდის.

9. (22) დირსების ჩამორთმევა მდგომარე-ობს:

1. თავად ან აზნაურთათვის, დაკარგვა კეთილ-შობილის სარისხისა როგორც თავის-თავისთვის, ისე შთამომავლობისთვის, და უფლებების, რო-მელნიც ამ სარისხს კეთუნის.

2. ხალდეველოთათვის ჩამოხდა ხალდეველ-დირსებისა.

3. სხვა გვარი ხალხისათვის დირსების ჩამორ-თმევა მდგომარეობს იმაში, რომ დაკარგამს კარგს სასელს, არავერი ნდობა აღარ ექნება მას, არც ფიცში, არც მოწმობაში და არც რაზე საქმეში ამორჩეული ვედარ იქნება.

10. (23) დირსების ჩამორთმევისა თანავე ჩა-მოერთმევა მას ყოველგვე ტიტული, ჩინი, ორ-დენები და ნიტნები.

11. (24) დირსების ჩამორთმევა არ გაკარგვდ-ება არც ცოლზე, არც შვილზე და არც ჩასა-სულს დედის მუცელში დირსების ჩამოხდამდის ამ კაცისა, რომელისაც თავთამომავლობა ესენი არიან.

წარმოიდგინეთ რა სასტიკი სასჯელებია; სიკვდილი, ღირსების ჩამოხდა კატორღაში მუშობა და სხვა. სიკვდილზე აღარ ელაპა-რაკობ, ამიტომ რომ ყველამ იცის რომ უმ-ძიმესი კაცისათვის სასჯელი აღარ იქნება. ღირსების ჩამოხდა თავად-აზნაურთათვის რა არის რომ გლეხისდონა არც ხმა და არც პა-ტიკი აღარ ექნება, ერთის სიტყვით ქვეყანა-ზე აღარაფრათ არ იქნება. გლეხთათვის ღირსების ჩამოხდა ის არის, რომ მას დაეკარ-გება კეთილი სახელი, აღარაფერში აღარ ექნება ნდობა სოფლის ყრილობაში და სა-ზოგადო საქმეში აღარასფერი ხმა აღარ ექ-ნება, მისი ამორჩევა აღარაფერ თანამდებობ-აში აღარ შეიძლება, მოწმათ აღარ ივარ-გებს, ფიცი აღარ დაეჯერება; მაშ რაღა იქ-ნება ერთის სიტყვით კაცობრიობის ხარის-ხიდან პირუტყვის ხარისხზე ჩამოვა. —მე ხში-რათ გამიგონია, რომ სიბირში დაკარგვა არა-ფერიაო. არა თუ არაფერია, ეს დიდი სას-ჯელია: მოგაცილებენ ცოლს-შვილს, დედა, მამას, ძმას, დას, ყოველს ნათესაობას, შენს სახლს-კარს, სამშობლო ადგილს, რომელ-თაცა ეველარას დროს ეველარ ნახავ, არა თუ საუკუნოთ მათი მოცილება, ვისაც კი ცო-ტა გრძნობა აქვს, ერთის წლის მოცილებაც შეაწუხებს. ჰკითხეთ იმ კაცს, რომელიც რომ ყოველს ამას მოშორებია და წასულა თავისი ნებით სხვა ქვეყანას, თუ როგორ ენატრე-ბოდა თავისი სამშობლოს ნახვა; იმ უცხოს ქვეყანაში, რომ ნახოს თავისი ქვეყნის კაცი ისე ესიამოვნება, მითომ დიდი რამ ბედნიე-რება მიიღო, ესენი ყველა გვაჩვენებს, რომ ძალიან მძიმე სასჯელია სიბირში დაკარგვა. მარტო ის კაცი იტყვის, რომ უბრალოა, ვისაც არ გამოუცდია, თუ რა სამძიმოა თა-ვის საყვარლების მოცილება. —კატორღაში მუშობა არის იმ გვარი მუშობა, რომ უმ-ძიმეს მუშობას კაცი ეერ წარმოიდგენს, ისე გამუშავებენ როგორც პირუტყვს. მუშობა საუკუნოთ და ამ მუშობით შენ არასფერი სარგებლობა არა გაქვს. წარმოიდგინეთ, ერთსაევე იმა დროს მოგაშორეს ყოველს შენს გულითად საყვარელს, შენს სამშობლო ად-გილს, და იცი რომ თავის დღეში ეველარ ნახავ მათ; და ამასთანავე სიკვდილამდის გა-მუშავებენ პირუტყვსავით. აბა, ამის მაგიერს რა სარგებლობას ნახამს კაცი ბოროტის საქმის მოქმედებით, ამაზე რომ დაფიქრდეს კაცი და წარმოიდგინოს, თუ როგორი სას-ტიკია კაცის კვლაო, ქურდობის და სხვა წინააღმდეგობის, რომელსაც ამ გვარი სას-ჯელი მოსდევს.

(წაიკითხე ამ წიგნის ბოლოში მეოთხე დამატება.)

ახლა გავშინჯოთ რანაირ დანაშაულო-ბისათვის რა გვარი სასჯელი მოსდევს.

12. (176) ვინც რომ განზრახვით კაბადუს სასალსოდ ეკკლესიაში ღუთის შეგინებს, ანუ ღუთის-მშობლის მარიამისს, ან წმიდა ჯვარისს, ანუ ზეციურს უსორტოს ძალისს, ანუ წმინდანისა და მათის განმოსსნულებისა, ის დაისჯება:

ჩამორთმეეთ ყოველის ღირსებისა და გა-გზავნით კატორღის სამუშაოში, სამალნოში თორმეტიდამ თუთხმეტს წლამდის.

როდესაც ეს დანაშაულობა მოხდება ეკკლე-სიაში კი არა, სადმე სადაც ბეერი ხალხი იყო შეკრებული, ის დაისჯება:

ჩამორთმეეთ ყოველის ღირსებისა და კა-ტორღაში სამუშაოთ ზაოდებში ექვსიდან რვა წლამდის.

13. (178) ვინც რომ სასალსო ადგილზე განზრახვით შეაგინებს—ქრისტეს სარწმუნოებას, ანუ მართლ-მადიდებელს ეკკლესიას, ანუ სალმრთო წერილს, ანუ წმინა ხიდუმფოს ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველის ღირსებისა და გაგზავ-ნით კატორღაში სამუშაოდ ზაოდებში ექვსი-დან რვა წლამდის.

14. (179) ვინც რომ ამ გინებაზე დაესწრობა და არ შეატყობინებს მართებლობას, ის დაისჯება:

დატუსაღებით საპყრობილეში ოთხის თვი-დამ რვა თვემდის.

---

15. (184) უკეთუ ვინმე შეგონებით, ანუ სხვა რაიმე ხაშუალებით გადაუვანს მართლ-მადი-დებელს ქრისტიანეს და სხვა მორწმუნეს ქრისტეს სჯულისას თათრის სჯულზე, ანუ ურიის, ანუ სხვა რაიმე სარწმუნოებაზე, რომელთაც ქრისტე არა სწამთ, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველის ღირსებისა და გაგზავ-ნის კატორღაში სამუშაოთ ციხეებში რვიდამ ათ წლამდის.

16. (214) ვინც განზრახვით შეაგინებს ტუ-ლის სიტყვებით სამლვდელო ხარს, რომელიც ან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეკლამს დოცენტს და ამითი გასწეულეს ფეოის მსასურებას, ის დასჯება:

დატუსაღებით ოთხიდან რვა თვემდის.

---

17. (220) ვინც რომ შეეარდება ეკლესიაში, და გასტარტვეს ეკლესიას ის დასჯება:

ჩამოხდით ყოველის ღირსებისა და გაგზავნით კატორღაში სამადნოში სამუშაოთ თორმეტიდან თუთხმეტ წლამდის.

---

18. (236) ვინც განზრახვით ტრუთ იფიცავს, ის დასჯება:

ჩამოხდით ყოველის ღირსებისა და გაგზავნით სიბირში დასასახლებლად.

19. (237) ვინც რომ განზრახვით ტრუთ იფიცამს, და ამ ტრუ მოფიცრის ჩვენებით ვინმე დასჯება სიხლის სამართლით; ის დასჯება:

ჩამოხდით ყოველის ღირსებისა და გაგზავნით სამუშაოთ კატორღაში რვადან ათ წლამდის.

20. (238) თუ რომ დამტკიცდა, რომ ვინმე ტრუ ფიცი მიიღო, ანა თუ განზრახვით, ანამედ შეცთომით, ანუ თუ უტოდინარობით, თუ რა მმიმეა ტრუ ფიცი, ის დასჯება:

ჩამორთმეეთ ყოველის ღირსებისა და გაგზავნით სიბირში საცხოვრებლად.

21. (239) ვინც რომ განუზრახავთ და უტოდინარობით გამოაცხადებს, რომ მზათ კარ ვიფიცოთ და შემდგომ უარს იტყვის, ის დასჯება:

დატუსაღებით სამი კვირიდან სამს თვემდის.

აი დახედეთ რა სასტიკი სასჯელი აქვს ცრუ მოფიცარს ფიცი განწესებულია იმისათვის რომ სიმართლე დამტკიცდეს და კანონიც მოფიცრის ჩვენებას დიდს მნიშვნელობას აძლევს. მოფიცარი სარგებლობს ამით და შეჰყავს მსაჯული შეცთომაში, რომელითაც შეიძლება დიდი სასჯელი, ანუ ზარალი მიეცეს ვისმეს. მაგალითად, მქონდა ვისიმე მტრობა შეეწამე მას კაცის კვლა, ვიმოვნე ცრუ მოფიცრები და ამითი საუკუნოთ დავკარგე კაცი, ესე იგი კაცი მოეკალი. ამ გვარი ბოროტი კაცი ისთვე უნდა დაისაჯოს, როგორც კაცის მკველი, და ისეც დასჯის კანონი. ან ვედავები ვისმეს მის საკუთრებაში, ცრუ ფიცით დაუმტკიცე რომ ის საკუთრება ჩემია, შეეიყვანე ამითი მსაჯული შეცთომაში და დამრჩა მე სხვისი საკუთრება. ეს ნამდვილი ქურდობაა. და ამის მომქმედი დაისჯება ისე როგორც ბოროტი ქურდი.

22, (241,242,243 и 244.) ვინც რომ რამე განზრახვით, ანუ მოქმედებით ავნებს სიცოცხლეს, კერძოთ ოფიციერს და პატიეს ხელმწიფე იმპერატორისას ანუ განიზრახავს მისის ტასტიდან ჩამოგდებას, ანუ ისურვებს წართმევას მისის უმაღლესის უფლებისას დამნაშავე დასჯება:

ჩამორთმეეთ ყოველივე ღირსების და სიკეთილით.

აგრეთვე დასჯება ის ვინც განიზრახამს ზემოთ ნათქვამს მემკვიდრეზე ანუ მისს მეუღლეზე, ანუ სხვა სამეფო სახლის წევრებზე.

23. (249) ვინც რომ მოახდენს ბუნტს იმ განზრახვით, რომ მოსპოს ახლანდელი სახელმწიფოს წესდებულებანი. ის დასჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და სიკეთილით.

24. (263) ვინც რომ წინააღმდეგობას უწევენს მოსაგრობას პირს და ადარ აღასრულებენს მისს კანონიურ კადდებულებას იმ დროს ისმარებს ძალას და ამ გვარ ძალადობით შეიყვანს რამე უკანონო მოქმედებაში, ის დასჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით კატორღაში სამადნოში სამუშაოთ თორმეტიდან თუთხმეტ წლამდის.

26. (267) ამ გვარს წინააღმდეგ მოქმედ პირებთან ჩაითვლებიან ისინი, რომელნიც წინააღმდეგობს ამოგურჩევენ სასოფლო (ხაზოგადოებას) მართველობას.

27. (270) ვინც რომ წინააღმდეგობას უწევენს სუდის განჩინების სისრულეში მოყვანას, ან კანონიერ მოქმედებას ჩინოვნიკისას, ამ დროს ანარალ ისმარს ერთი იოლს თუ მრავალნი; ის ანუ ისინი დასჯებიან:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით კატორღაში სამუშაოთ ოთხიდამ ექვს წლამდის.

28. (282) ვინც რომ სასამართლოში, რადესაც სასამართლო გახსნილია, ხიტყვით, ანუ რამე ქნეკით გაუპატიურებს ამ სასამართლოს ადგილს; ანუ ქალაქში, რომელიც ამ სასამართლოში უსატანია განზრახვით წასწერს მამათასა სიტყვებს რომელნიც გაუპატიურებს ამ სასამართლოს ის დასჯება:

დატუსაღებით საპყროგილეში ორიდან ოთხ თვემდის.

29. (285) ვინც გაბედამს გალანძვით, ანუ სხვა რამე ძალის ხმარებით, გაუპატიურებს მოსამსახურე პირს, რადესაც ეს ოავის სამსახურს ასრულებს ის დასჯება:

დატუსაღებით რვა თვიდგან ორ წლამდის და დაკარგვით რომელიმეთ ღირსებით.

30. (286) ვინც რომ რამე ძალის ხმარებით გაუპატიურებს სოფლის მამასახლისს, ანუ სხვა სასოფლო თანამდებობის პირებს, რადესაც ესენი ასრულებენ თავის თანამდებობასს; ის დასჯება:

დატუსაღებით საპყრობილეში ორიდან რვა თვემდის.

---

31. (308) ვინც რომ გასტეხს სამეურნეოდეს და იქიდან გაანთავისუფლებს ტუსაღებს, ის დასჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით კატორღაში სამუშაოდ თუთხმეტიდან ოც წლამდის.

32. (309) თუ ტუსაღებმა შეეკრეს პირობა და გასტეხეს სამეურნეოდეს და გაიქცნენ, ისინი დასჯებიან;

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით კატორღაში სამუშაოდ თორმეტიდგან თუთხმეტ წლამდის.

33. (311) რადესაც ტუსაღი გაიქცევა ამ დროს, რადესაც ის გადაყვანა ერთის ადგილიდან მეორეზე, ის დასჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით კატორღაში სამუშაოდ თორმეტიდგან თუთხმეტ წლამდის.

(ზოგი შემდეგ ნომერში იქნება.)

Дозволено цензурою Тифлисъ 30 Сентября 1872 г. გ. წერეთლის და ამს. (დუბელირის. სტამბა. რედ.და გამომცემელი გ. წერეთელი.